

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №53
2018 წლის 26 დეკემბერი

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თანახმად დანართისა

მუხლი 2

„ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად გამოცხადდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №24 დადგენილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 01/01/2018 წელი, 190020020.35.139.016233)

მუხლი 3

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გოგიჩაიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი თავი I

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I. შემოსავლები	21,500.3	19,417.9	2,082.3	20,087.1	17,760.0	2,327.1	18,260.0	18,260.0	0
გადასახადები	7,209.1	7,209.1	0	6,980.0	6,980.0	0	7,175.0	7,175.0	0
გრანტები	2,272.3	190.0	2,082.3	2,517.1	190.0	2,327.1	190.0	190.0	0
სხვა შემოსავლები	12,018.8	12,018.8	0	10,590.0	10,590.00	0	10,895.0	10,895.0	0
II. ხარჯები	11,000.5	10,945.60	54.9	12,497.2	12,497.2	0	12,789.7	12,789.7	0
შრომის ანაზღაურება	1,649.1	1,649.1	0	1,914.25	1,914.2	0	2,099.6	2,099.6	0
საქონელი და მომსახურება	2,145.3	2,099.8	45.4	2,010.0	2,010.0	0	1,914.7	1,914.7	0
პროცენტი	21.2	21.2	0	65.7	65.7	0	33.5	33.5	0
სუბსიდიები	4,752.7	4,752.7	0	5,749.6	5,749.65	0	6,500.1	6,500.1	0



გრანტები	130.8	130.8	0	77.0	77.0	0	51.0	51.0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1,355.9	1,355.9	0	1,820.2	1,820.2	0	1,297.6	1,297.6	0
სხვა ხარჯები	945.4	936.0	9.45	860.4	860.4	0	893.1	893.1	0
III საოპერაციო სალდო	10,499.7	8,472.3	2,027.4	7,589.9	5,262.8	2,327.1	5,470.3	5,470.3	0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8,719.1	6,477.2	2,241.9	13,052.2	10,529.6	2,522.7	5,387.3	5,387.3	0
ზრდა	8,807.0	6,565.2	2,241.9	13,202.8	10,680.2	2,522.7	5,427.3	5,427.3	0
კლება	87.9	87.9	0	150.6	150.6	0	40.0	40.0	0
V მთლიანი სალდო	1,780.6	1,995.1	-214.4	-5,462.4	-5,266.8	-195.6	83.0	83.0	0
VI ფინანსური აქტივების ცვლილება	1,688.3	1,902.7	-214.4	-5,538.5	-5,342.9	-195.6	0	0	0
ზრდა	1,902.7	1,902.7		0			0		
კლება	214.4		214.4	5,538.5	5,342.9	195.6	0		
							0		
VII .ვალდებულებების ცვლილება	-92.3	-92.3		-76.1	-76.1		-83.0	-83.0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
საშინაო	0						0		
კლება	0	0	0	0	0	0	0	0	0
საშინაო	92.3	92.3		76.1	76.1		83.0		
	0						0		
VIII. ბალანსი	0	0.00	0.00	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		სულ	2018 წლის გეგმა		სულ	2019 წლის პროექტი	
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	21,588.2	19,505.9	2,082.3	20,237.7	17,910.6	2,327.1	18,300.0	18,300.0	0



შემოსავლები	21,500.3	19,417.9	2,082.3	20,087.1	17,760.0	2,327.1	18,260.0	18,260.0	0
არაფინანსური აქტივების კლება	87.9	87.9	0	150.6	150.6		40.0	0	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)	0		0	0			0		
ვალდებულებების ზრდა									
გადასახდელები	19,899.9	17,603.1	2,296.8	25,776.2	23,253.5	2,522.6	18,300	18,300	0
ხარჯები	11,000.5	10,945.6	54.96	12,497.2	12,497.2	0	12,789.6	12,789.6	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,807.0	6,565.2	2,241.9	13,202.8	10,680.2	2,522.70	5,427.3	5,427.3	0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0			0			0		
ვალდებულებების კლება	92.3	92.3	0	76.1	76.1	0	83.0	83.0	0
ნაშთის ცვლილება	1,688.3	1,902.7	-214.4	-5,538.5	-5,342.9	-195.6	0	0	0

თავი II

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები, გადასახდელები და გრანტები
მუხლი 3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 18260.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	21,500.3	19,417.9	2,082.3	20,087.1	17,760.0	2,327.1	18,260.0	18,260.0	0
გადასახდელები	7,209.1	7,209.1	0	6,980.0	6,980.0	0	7,175.0	7,175.0	0
გრანტები	2,272.3	190.0	2,082.3	2,517.1	190.0	2,327.1	190.0	190.0	0
სხვა შემოსავლები	12,018.8	12,018.8	0	10,590.0	10,590.0		10,895.0	10,895.0	

მუხლი 4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
 განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 7,175,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	სულ	2018 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	7,209.1	7,209.1	0	6,980.0	6,980.0	0	7,175.0	7,175.0	0
საშემოსავლო გადასახადი	876.0	876.0		780.0	780.00		0.0	0	
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0			0			975.0	975.0	
ქონების გადასახადი	6,333.1	6,333.1	0	6,200.0	6,200.0	0	6,200.0	6,200.0	0



საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,865.5	3,865.0		4,520.0	4,520.0		4,520.0	4,520.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	257.1	257.1		400.0	400.0		400.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	341.3	341.1		30.0	30.0		30.0	30.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	139.7	139.7		100.0	100.0		100.0	100.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,729.6	1,729.6		1,150.0	1,150.0		1,150.0	1,150.0	

მუხლი 5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 190.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
გრანტები	2,272.3	2,517.1	190,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190,0	190,0	190,0
კაპიტალური ტრანსფერი	2,082.3	2,327.1	0

მუხლი 6. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 10,895,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	12,018.8	10,590.0	10,895.0
შემოსავლები საკუთრებიდან	8,933.9	8,430.0	8,730.0
პროცენტები	772.9	500.0	730.0
რენტა	8,160.9	7,930,0	8,000,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	18,109.0	7,900,0	7,960,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	52.0	30.0	40.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,866.8	1,520.0	1,530.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,804.3	1,480.0	1,490.0



სანებართვო მოსაკრებელი	196.8	150.0	150.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0	0	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0	0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,235.0	1,000.0	1,000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	372.2	330.0	340.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0	0	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	62.5	40.0	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	478.4	390.0	385.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	739.7	250.0	250.0

თავი III

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12,789.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	სულ	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	11,000.5	10,945.6	54.9	12,497.2	12,497.2	0	12,789.6	12,789.6	0
შრომის ანაზღაურება	1,649.1	1,649.1	0	1,914.2	1,914.2	0	2,099.6	2,099.6	0
საქონელი და მომსახურება	2,145.3	2,099.8	45.4	2,010.0	2,010.0	0	1,914.7	1,914.7	0
პროცენტები	21.22	21.22	0	65.7	65.7	0	33.5	33.5	0
სუბსიდიები	4,752.7	7,752.7	0	5,749.6	5,749.6	0	6,500.1	6,500.1	0
გრანტები	130.8	130.8	0	77.0	77.0	0	51.0	51.0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1,355.9	1,355.9	0	1,820.2	1,820.2	0	1,297.6	1,297.6	0
სხვა ხარჯები	945.5	935.9	9.5	860.4	860.4	0	893.1	893.1	0

მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5,387.3 ათასი



ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5,427.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	10.8	186.3	49.5
01 01	წარმომადგენლობითი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	0	3.5	0
01 02	აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის დაფინანსება	10.8	182.8	49.5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა , რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8,025.3	11,938.4	2,734.6
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	4,822.6	6,542.3	500.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,010.5	2,654.8	930.4
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	714,0	1,568.1	1,304.2
03 05	სოფლის მხადრაჭერის პროგრამა	69.3	16.2	0
03 07	სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	408.5	1,157.0	0
04 00	განათლება	623.5	955.8	1,003.9
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	623,5	955.8	1,003.9
05 00	კულტურა,რელიგია ,ახალგაზრდობისხელშეწყობა და სპორტი	147.5	117.3	1.639.3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	59.5	44.1	361.5
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	87.9	73.2	1.277.8
	სულ ჯამი	8,807.0	13,202.8	5,427.3

ბ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 40,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	87.9	150.6	40.0
ძირითადი აქტივები	0,0	130.6	20,0
არაწარმოებული აქტივები	87.9	20.0	20.0
მიწა	87.96	20.0	20.0



ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,574.3	3,235.5	3,538.3
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,519.2	3,129.9	3,469.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,519.2	3,044.1	3,169.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	85.7	300.0
7.1.1.3	საგარეო ურთიერთობები			
7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	0	0	0
7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	21.2	65.7	33.5
7.1.7	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის			
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	33.8	40.0	35.0
7.2	თავდაცვა	90.8	101.5	101.5
7.2.1	შეიარაღებული ძალები			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	0	0	0
7.2.3	საგარეო სამხედრო დახმარება			
7.2.4	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში			
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში			
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
7.3.1	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7.3.2	სახანძრო-სამაშველო სამსახური			
7.3.3	სასამართლოები და პროკურატურა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4,939.3	6,591.7	1,056.2
7.4.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	0	0
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა			



7.4 3	სათბობი და ენერგეტიკა			
7.4 4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
7.4 5	ტრანსპორტი	4,897.3	6,547.1	1,000.0
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,897.3	6,547.1	1,000.0
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0	0	0
7.4 6	კავშირგაბმულობა			
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები			
7.4 8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროსი			
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში			
7.5	გარემოს დაცვა	710.7	1,320.2	500.0
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამამუშავება და განადგურება	36.6	855.0	0
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	439.5	129.9	50.0
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0	0	0
7.5 4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	234.5	338.4	450.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	5,819.5	7,028.5	4,712.5
7.6 1	ბინათმშენებლობა	717.6	1,088.3	350.0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0	0	0
7.6 3	წყალმომარაგება	252.6	645.6	500.0
7.6 4	გარე განათება	488.6	660.0	479.8
7.6 5	გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	4,360.8	4,634.5	3,382.7
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	91.4	105.8	136.4
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება	11.4	17.5	20.0
7.7 3	სავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.0	88.4	86.4
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროსი			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0	0	30.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,111.7	2,489.2	3,706.0
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	813.5	1,107.4	2,247.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,132.9	1,183.9	1,256.1



7.8 3	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა			
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0	0
7.9	განათლება	1,887.6	2,767.2	2,956.1
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,832.1	2,727.2	2,956.1
7.9 2	ზოგადი განათლება	0	0	0
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0	0	0
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება			
7.9 3	პროფესიული განათლება			
7.9 4	უმადლესი განათლება			
7 10	სოციალური დაცვა	1,582.3	2,060.3	1,150.1
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	788.4	1,258.4	800.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0	0	0
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	378.2	354.1	251.2
7 10 5	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა			
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0	0	0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	415.7	445.3	458.9
	სულ	19,807.6	25,700.0	18,216.9

თავი IV

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 83.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.
- განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ზრდა	1,902.7	0	0.0
სესხები	0	0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0.0



3. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების კლება	214.4	5,538.5	0
ვალუტა და დეპოზიტები	214.4	5,538.50	0
სესხები	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0

მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -83.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0.0
საშინაო	0,0	0,0	0.0
საგარეო	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0

3. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 83.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ვალდებულებების კლება	92.3	76.1	83,0
საშინაო	92.3	76.1	83,0
სესხები	0	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0	0

4. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის 116.5 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი
-----------	------------------



		31.12.2019
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა		116.5
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	116.5
2	ფინანსთა სამინისტროსგან აღებული მოკლევადიანი სესხი	0

მუხლი 13. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 14. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურა; კულტურა, რელიგია, ხალგაზრდობა და სპორტი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება; განათლება; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; თავდაცვა

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებისათვის.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის პროგრამა (03 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს 5000 კვ. კმ . საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 23 პროცენტი, მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 50 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დახაზვას, შუქნიშნების და სიჩქარის შემძღუდველი ბარიერების მონტაჟს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, გზების, ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, კაპიტალური მშენებლობა ,მოვლა პატრონობა.

1.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (03 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

1.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება (03 01 02)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფეხით სავალი ნაწილის მოწყობა სტანდარტების შესაბამისად.

1.1.3 საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობა (03 01 05)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე



არსებული სანიაღვრეების, მოსაცდელების, მოაჯირების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება, ასევე განხორციელება გზების და ხიდების გაწმენდა თოვლისა და ყინულისაგან.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02)

პროგრამის მიზანი: გამართული და უსაფრთხო კომუნალური ინფრასტრუქტურა;

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, საყრდენი კედლების მოწყობა.

1.2.1 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (03 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: კომუნალური და სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია (კერძოდ დაბა ახალდაბაში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია).

1.2.2 არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია(03 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: რეაბილიტირებული შენობა - ნაგებობები.

ქვეპროგრამის აღწერა: განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (მათ შორის მერიის შენობა, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების შენობები და სხვა.)

1.2.3 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია(03 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი : უსაფრთხო ინფრასტრუქტურული გარემო.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწყობა(კერძოდ გურამიშვილსა და ორბელიანის ქუჩებს შორის საყრდენი კედლის მოწყობა).

1.2.4 გარე განათების მოწყობა (03 02 07)

ქვეპროგრამის მიზანი: განათებული მუნიციპალიტეტი.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება გარე-განათების ქსელის გაფართოება, ახალ ქსელზე დაერთება.(კერძოდ: ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე გარე განათების ქსელის გაფართოება, მოეწყობა ე.წ.“დიდი მინდორი“-ის სკვერთან მისასვლელი გზის გარე განათება).

1.2.5 სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა ჭურჭლის შეძენა, სასაფლაოების და ეკლესიების შემოღობვა (03 02 08)

ქვეპროგრამის მიზანი: სარიტუალო ღონისძიებების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, სასაფლაოების შემოღობვ(სოფ. კორტანეთში სასაფლაოს შემოღობვა).

1.2.6 ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა (03 02 11)

პროგრამის მიზანი: „ბორჯომი სისუფთავის ქალაქი“- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა დასუფთავება, ნარჩენების დროულად გატანა და მოსახლეობისათვის კეთილსინდისიერი მომსახუროების გაწევა.

პროგრამის აღწერა:ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, ტროტუარების სავალი ნაწილის დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე



ტერიტორიის დასუფთავება-გაწმენდა, ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა და კირით შეწამვლა, ფანტანების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება, ქ. ბორჯომში მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერების დეზინსექციისა და დეზინფექციის მომსახურება, ყველა სხვა საქმიანობა რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2.6 ბორჯომის გარე განათება (03 02 12)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ქალაქში ჩამოსული ვიზიტორებისათვის ღამის საათებში განათებულ ქალაქში გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოების განხორციელება. განათებასთან დაკავშირებით სარემოტო აღდგენითი სამუშაოები და სადღესასწაულო დეკორატიული გარე განათების მონტაჟი-დემონტაჟი.

1.2.7 ა(ა)ოპ -ბორჯომის სოფლის წყალი (03 02 13)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის მუდმივი და ხარისხიანი წყლის მიწოდება.

პროგრამის აღწერა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების წყალსადენის ქსელის და სათავე ნაგებობების ექსპლოატაცია, მოვლა , შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ახალის ქსელის გაყვანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ასევე სათავე ნაგებობის შემკრების მოვლა-პატრონობა, გაწმენდა და დაქლორვითი სამუშაოები ჩატარება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (03 03)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როდორიცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება რეაბილიტაცია, რათა მოსახლეობას მიეცეს სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცეების, სკვერების, ატრაქციონების, სანიაღვრე არხების, მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, სასაფლაოების მოვლა, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსება, ასევე მოხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ზედამხედველობის ხარჯების ანაზღაურება.

1.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების მოწყობა/რეაბილიტაცია (03 03 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა(ქ. ბორჯომის მესხეთის ქუჩა).

1.3.2 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გაფაბეღვა , შეწამვლა, ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (03 03 02)

ქვეპროგრამის მიზანი: ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტებისათვის კომფორტული მოსასვენებელი



ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია.

1.3.3 სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (03 03 04)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიიწოდება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; კერძოდ საფლავეებზე მისასვლელი ბილიკის დაგვა-დასუფთავება; საჭირო სამუშაო იარაღებითა და ინვენტარით უზრუნველყოფა; მუშა-მესაფლავეების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ბალახის, ბუჩქების და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა, რეგულარული დაგვა დასუფთავება.

1.3.4 სამშენებლო, სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (03 03 05)

ქვეპროგრამის მიზანი: ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

1.3.5 ბორჯომის გამწვანება 2012 (03 03 06)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ბაღების, პარკების და გაზონების მოწესრიგება, ყვავილებით და მარადმწვანე დეკორატიული მცენარეებით შევსება და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქში არსებული ბაღების, პარკებისა და სკვერების შევსება ყვავილებითა და მარადმწვანე, ფოთოლმცვენი სხვადასხვა დეკორატიული მცენარეებით. ჩატარდება მარადმწვანე ხე-მცენარეების მავნებლებისა და დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); მოხდება ხე მცენარეების გასუფთავება ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, შემობარვა, მორწყვა, გასხვლა, ნაგავის შეგროვება და მათი გატანა. გაზონების დასუფთავება. ორგანული სასუქის შეტანა მრავალწლიანი ბუჩქების ძირებში, ასევე საყვავილე კლუმბებში, ასევე მოხდება მინერალური სასუქის შეტანა ყვავილნარებში, მრავალწლიან მცენარეთა ირგვლივ და ბალახის გაზონებში. მოხდება ტერიტორიების გათიბვა სეზონზე და გათიბული მასის გატანა.

1.4 ტრანსპორტის სუბსიდირება (0306)

პროგრამის მიზანი: სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის აღწერა: სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება, მუნიციპალური სერვისის განვითარება, ტექნიკურად გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფა მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტულად მომსახურებისათვის. სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება დროულად და უსაფრთხოდ, სპეც-ტექნიკით (ტრაქტორები) ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება.

2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ



ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

2.1 სპორტის სფეროს განვითარება (05 01)

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება- პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მომზადება და მონაწილეობა ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები; სპორტის სხვადასხვა სახეობის სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია. სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა. პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარებაზე და სპორტსმენთა მივლინებაზე საერთაშორისო ტურნირებზე; განხორციელდება ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია და ქალთა სპორტის განვითარება, ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება, სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

2.1.1 ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა (05 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი: ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული სექციების და კლუბების მხარდაჭერას, რომლის მიზანია პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური მოზიდვა და ჩართულობა სხვადასხვა სპორტის სახეობებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული სექციების და კლუბების განვითარებას.

2.1.2 სპორტული ღონისძიებები (05 01 02)

ქვეპროგრამით 2019 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- ვაჟთა და გოგონათა ტურნირი კალათბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის.
- ტურნირი ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის.
- მინი-ფეხბურთი მოსწავლეებს შორის.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მინი-ფეხბურთის საზაფხულო ტურნირი მოყვარულთა შორის.
- ფრენბურთის ტურნირი (წარმოება დაწესებულებებს შორის)
- კალათბურთის ჩემპიონატი (წარმოება დაწესებულებებს შორის),
- მინი ფეხბურთი წარმოება დაწესებულებებს შორის,
- ვაჟთა და გოგონათა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში სკოლის მოსწავლეებს შორის, (წელიწადში 2-ჯერ)
- ვაჟთა და გოგონათა ტურნირი მძლეოსნურ ესტაფეტაში სკოლის მოსწავლეებს შორის, (წელიწადში 2-ჯერ)
- წარჩინებული სპორტსმენების წახალისება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება რეგიონალური და ბორჯომის სარაგბო კლუბების დაფინანსება.

2.1.3 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა (05 01 03)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების, გარე სავარჯიშო კომპლექსების და ატრაქციონების მოწყობა რეაბილიტაცია.



2.2 კულტურის სფეროს განვითარება (05 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორიცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობას, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადებას და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კულტურის სფეროს დაწესებულებები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლები და სხვა.

2.2.1 მუსიკალური სკოლის დაფინანსება (05 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსწავლეთათვის დაწყებითი მუსიკალური განათლების მიცემა, საფორტეპიანო, სიმებიანი, ვოკალური და ხალხური მიმართულებებით.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა კონტიგენტის მიღებას, სამუშაო გეგმების, გაკვეთილების ცხრილების შედგენას და განხილვას, სასწავლო წლის ხარისხიანად წარმართვას და მისთვის აუცილებელი საკითხების ორგანიზებას. კრეატიული აზროვნების დანერგვა-მოწყობას, მოსწავლეთა მომზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასილური, ფოლკლორული და სხვადასხვა ჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში. კულტურული ღონისძიებების ჩატარებას.

2.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (05 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა: საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა.

- საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;
- საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგების, ელექტრონული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების სტატიების) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;
- საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა, წიგნების პრეზენტაციების მოწყობა; შეხვედრები შემოქმედ



ადამიანებთან, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მოწყობა მუნიციპალიტეტის სკოლების მასშტაბით; ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.სხვადასხვა სახის კონკურსების ჩატარება , თემატური საღამოების მოწყობა მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკაში, მაღალმთიან სოფლებში(განსაკუთრებით ბალანთასა და ტაბაწყურში) გასვლითი ღონისძიებების მოწყობა, მობილური ბიბლიოთეკის ამოქმედება; შშმ პირების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა; წიგნადი ფონდის ციფრული კატალოგიზაციისათვის პროგრამის შეძენა და კადრების გადამზადება; ინვენტარის განახლება; სამეურნეო და საკანცელარიო ნივთების შეძენა; ზამთრის სეზონისათვის მომზადება.

2.2.3 ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (05 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება,მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა მიზნობრივ წრეებში, როგორცაა: ტიხრული მინანქრის, ფერწერისა და გრაფიკის, ხელნაკეთი თოჯინების და ქსოვის, ხეზე კვეთის შემსწავლელი წრეები, დაინტერესება ქართული ფოლკლორით , როგორც მუსიკალური ასევე ქორეოგრაფიული მიმართულებით. თეატრის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის, კიდევ უფრო საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული კურორტის სახით წარმოჩენა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ბორჯომის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნაში მონაწილეობის მიღება. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა.

სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ჩატარება როგორც კ/ცენტრში, ასევე ცენტრს დაქვემდებარებულ სოფლის კლუბებში, მოსწავლე ახალგაზრდობისა და წაღვერის კ/სახლებში.

1.სილამაზის კონკურსის მის ბორჯომი 2019 ორგანიზება -ღონისძიების ფარგლებში მოხდება ბორჯომსა და მის რაიონებში 20-25 გოგონას შერჩევა. რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში. ფინალში გასული გოგონები გამოვლენ საფინალო შოუში , რომელზეც მოხდება კონკურსის გამარჯვებულის და ორი საპრიზო ადგილის მფლობელის არჩევა და გამოცხადება ჟიურის მიერ. გამოცხადების შემდეგ შედგება გვირგვინის საზეიმო გადაცემის ცერემონიალი. კონკურსში მონაწილე გოგონები დასაჩუქრდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.

2.შემოქმედებითი საღამოს მოწყობა-ღონისძიების ფარგლებში იგეგმება გამოჩენილი მომღერლის შემოქმედებითი საღამოს ჩატარება,საღამოს გაამრავალფეროვნებს მოწვეული მომღერლების და შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლა .

3.მოწვეული თეატრების მიერ სპექტაკლების წარმოდგენა, მოხდება საქართველოში მოღვაწე თეატრების მოწვევა, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას და დაინტერესებულ საზოგადოებას წარმოუდგენენ ცნობილ ან ახალ სპექტაკლებს.

4.საახალწლო ღონისძიებები - ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება საახალწლო გასართობი სპექტაკლი ცენტრთან არსებული თეატრალური სტუდიის მიერ. შეძენილ იქნება სხვადასხვა ტკბილეული საახალწლო საჩუქრებისთვის. ღონისძიება მოიცავს საქველმოქმედო მიზნებსაც. სპეციალურად შშმ ბავშვებისთვის ჩატარდება სპექტაკლი. და გადაეცემათ საახალწლო ტკბილეულობა საჩუქრებად.

2.2.4 ეროვნული , სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები(05 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი: ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების წარმოჩენა, შენარჩუნება, განვითარება და მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლება. ახალგაზრდების მხარდაჭერა, წახალისება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა. ტურისტებისთვის ქალაქის წარმოჩენა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოზარდი



ახალგაზრდობისათვის და ზოგადად მთლიანი მოსახლეობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები:

1. ახალი წლის ღონისძიება ბორჯომსა და ბაკურიანში.
2. ბაკურიანობა 2019.
3. ქალთა საერთაშორისო და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა.
4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა.
5. კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა.
6. მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სასკოლო კლუბებს შორის.
7. საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური ჩემპიონატი „ეტალონი“.
8. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა.
9. ბავშვთა დაცვის დღე და ტურისტული სეზონის გახსნა.
10. „თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მუსიკოს – შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი“.
11. რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალი „ფუმეობა“.
12. გიორგი ათონელის ხსენების დღე
13. „ბორჯომობა 2019“.
14. ქართულ – პოლონური ჯაზის ფესტივალი.
15. მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.
16. საინფორმაციო-სარეკლამო მასალის ბეჭდვა.
17. სარეკლამო, საიმეო კლიპის გადაღება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების წარმოჩენა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება სატელევიზიო პროგრამა „ეტალონი“ და ასევე „ეტალონი“-ში გამარჯვებული ბავშვი ყოველთვიური სტიპენდიით.

2.2.5 ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკების სარეაბილიტაციო სამუშაოები (05 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამუსიკო სკოლისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის რეაბილიტაცია.

2.2.6 ბორჯომ ბაკურიანის ეპარქია (05 03)

ქვეპროგრამის მიზანი: ეპარქიის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2.7 საინფორმაციო მომსახურება (05 03)

პროგრამის მიზანი ინფორმირებული მოსახლეობა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების გამოქვეყნება.

3. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

